ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
ქეთევან უტიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე
ხათუნა ჩხაიძე – კოლეგიის წევრი
თეიმურაზ თოდრია -კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: კ. ჩ.
საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 27.06.2016
საჩივრის რეგისტრაციის № 050/16
საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ა. ბ. /სიითი №/ მიმართ
საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ა ბ.-ს მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I. აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2016 წლის 27 ივნისს ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას" საჩივრით მომართა კ. ჩ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ა. ბ.-ს დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2015 წლის იანვარში, დაკავების შემდეგ, გადაიყვანეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ფოთის საქალაქო სამმართველოში სადაც სამართალდამცავებმა მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, ასევე, აიძულებდნენ ეღიარებინა დანაშაულის ჩადენა. საჩივრის ავტორის განმარტებით, მან უარი განაცხადა დანაშაულის აღიარებაზე, რის შემდეგაც დაემუქრნენ ოჯახის წევრების - ძმისა და მამის დაკავებით. კ. ჩ.-ს განცხადებით, მან ადვოკატის დახმარება ითხოვა, რაზეც სამმართველოს თანამშრომლებმა შეურაცხყოფით უპასუხეს.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაყვანამდე, მას შეხვდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ფოთის საქალაქო სამმართველოს უფროსის მოადგილე და განუცხადა, რომ თუ დანაშაულის ჩადენას აღიარებდა, მასთან საპროცესო შეთანხმება გაფორმდებოდა. საჩივრის ავტორის განმარტებით, მან შიშის ქვეშ აღიარა დანაშაული და ხელი მოაწერა შესაბამის დოკუმენტს, რის შესახებაც მან მოგვიანებით თავის ადვოკატსაც აცნობა.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2015 წლის 28 იანვარს, დროებითი მოთავსების იზოლატორში მიაკითხეს ადვოკატმა ა. ბ.-მ და საქმის გამომძიებელმა. აღნიშნულმა პირებმა კ. ჩ.-ს მისთვის უცნობ საბუთზე ხელის მოწერა სთხოვეს, რაზეც მან უარი განაცხადა. საჩივრის ავტორის განმარტებით, გამომძიებლის მიერ ოთახის დატოვების შემდეგ, ადვოკატს აცნობა, რომ ,,ბრალდების საქმეზე'' ხელი არ ჰქონდა მოწერილი. ადვოკატმა, კი, ურჩია „საქმე არ გაეფუჭებინა“, რადგანაც თუ შესაბამის დოკუმენტს ხელს არ მოაწერდა, ვერ მოხდებოდა მასთან საპროცესო შეთანხმების გაფორმება. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატთან კონსულტაციის დასრულების შემდეგ, მან გამომძიებლის თანდასწრებით ხელი მოაწერა ზემოაღნიშნულ დოკუმენტს, რაზეც ადვოკატმა განუცხადა, რომ სწორად მოიქცა.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ მის მიმართ გამამტყუნებელი განჩენის გამოტანის შემდეგ, ადვოკატი მის მშობლებს ჰპირდებოდა სააპელაციო საჩივრის შედგენასა და სააპელაციო სასამართლოს კანცელარიაში ჩაბარებას, აღნიშნული ქმედება ადვოკატმა არ განახორციელა და კლიენტს განაჩენის სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების უფლება დააკარგვინა, რადგან გავიდა სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა. 2016 წლის 19 ივლისს საჩივრის ავტორმა წარმოადგინა დამატებითი ახსნა-განმარტება, რომელშიც დაადასტურა მის მიერ საჩივარში აღწერილი ფაქტობრივი გარემოებები და დამატებით აღნიშნა, რომ მისი მშობლები, საპროცესო შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, ადვოკატისათვის ნებისმიერი რაოდენობის ჰონორარის გადახდაზე იყვნენ თანახმა, ადვოკატმა კი საპროცესო შეთანხმების გაფორმებისათვის საჭირო დოკუმენტაცია პროკურატურაში არ წარადგინა.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ის და მისი ოჯახის წევრები ენდობოდნენ ადვოკატს და საპროცესო შეთანხმების მიღწევის იმედი ჰქონდათ. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა თავად აუწყა მის მშობლებს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის სააპელაციო წესით გასაჩივრების შესაძლებლობის შესახებ, რასაც მისი მშობლები დასთანხმდნენ.

1.7 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი მასთან განაჩენის სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების საკითხის განსახილველად არ შესულა და ამ საკითხთან დაკავშირებით მისი მოსაზრება ა. ბ.-ს უცნობია. კ. ჩ.-ს განმარტებით, ადვოკატმა არ აცნობა ჰონორართან დაკავშირებული პრობლემების შესახებ და აღნიშნული ინფორმაციის ცოდნის შემთხვევაში, ის და მისი მშობლები მზად იყვნენ ადვოკატის მომსახურებისათვის დამატებით თანხა გადაეხადათ.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2016 წლის 12 ივლისს ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიაში კ. ჩ.-ს საჩივართან დაკავშირებით ადვოკატმა ა. ბ.-მ წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება.

2.2 ადვოკატის განმარტებით, 2015 წლის 28 იანვარს მიმართა მოქალაქე გ. ჩ.-მ და სთხოვა იურიდიული მომსახურება გაეწია მისი შვილის, კ. ჩ.-ს, რომელიც დაკავებული იყო და იმყოფებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ფოთის საქალაქო სამმართველოს იზოლატორში.

2.3 ადვოკატის განმარტებით, მან იმ დღესვე მოინახულა კ. ჩ. იზოლატორში და პირისპირ ესაუბრა, თუმცა, კლიენტს დაკავებისას და იზოლატორში გადაყვანის შემდეგ სამართალდამცავთა მხრიდან მის მიმართ განხორციელებული უკანონო ქმედებების შესახებ ადვოკატთან არ უსაუბრია. ადვოკატი უთითებს, რომ უფლებების დარღვევის შესახებ კ. ჩ.-ს არც სასამართლოში საქმის წარმოების პროცესში უთქვამს რაიმე და ბრალიც ნებაყოფლობით აღიარა. შესაბამისად, კლიენტის პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატმა რეაგირება არ მოახდინა სამართალდამცავთა მიერ საკუთარი კლიენტისადმი განხორციელებულ უკანონობაზე, ა. ბ. უსაფუძვლოდ მიიჩნევს.

2.4 ადვოკატმა აღნიშნა, რომ კლიენტმა ბრალი აღიარა, ბრალდების მხარეს, კი მტკიცებულებები სადავოდ არ გაუხდია. აღნიშნულიდან გამომდინარე მისი ძალისხმევა მიმართული იყო საპროცესო შეთანხმების დადებისაკენ, ხოლო მას შემდეგ, რაც პროკურატურამ უარი თქვა საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე, ადვოკატის ძალისხმევა მიმართული იყო სასამართლოს მიერ სასჯელის მინიმუმის დანიშვნისაკენ.

2.5 ადვოკატის განმარტებით, საადვოკატო მომსახურების შესახებ შეთანხმება მოხდა მასსა და კ. ჩ.-ს მამას შორის, რომელმაც სთხოვა იურიდიული მომსახურება გაეწია მისი შვილისათვის გამოძიების ეტაპზე და პირველი ინსტანციის სასამართლოში. ჰონორარის რაოდენობა განისაზღვრა 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, რადგანაც ოჯახს მხოლოდ ამ თანხის გადახდა შეეძლო. ადვოკატის განმარტებით, მან გაითვალისწინა ოჯახის მატერიალური მდგომარეობა, კლიენტის განმარტება მისი პერსონის სანდოობის მიმართ და დასთანხმდა მომსახურების გაწევაზე, მიუხედავად იმისა, რომ საშემოსავლო გადასახადისა და ქუთაისის №2 პენიტენციურ დაწესებულებაში კ. ჩ. ოთხჯერ განხორციელებული ვიზიტის გათვალისწინებით მისი ჰონორარი მიზერულ რაოდენობამდე შემცირდა.

2.6 ადვოკატის განცხადებით, განაჩენის სააპელაციო წესით გასაჩივრება კ. ჩ.-ს მისთვის არ უთხოვია და ვინაიდან, პირველი ინსტანციისა სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანის შემდეგ მათი, როგორც კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა შეწყდა, განაჩენი საკუთარი ინიციატივით არ გაუსაჩივრებია.

2.7 ადვოკატის განმარტებით, კ. ჩ.-ს მშობლები მას განაჩენის გასაჩივრების შესახებ არ დაკავშირებიან, შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კანცელარიაში ჩაბარებას ადვოკატი მათ არ დაჰპირებია. ადვოკატმა მიუთითა, რომ სააპელაციო საჩივრის დაწერის შემთხვევაში საჩივარს განაჩენის გამომტან სასამართლოში შეიტანდა.

2.8 მესამე კოლეგიის განხილვის სხდომაზე ადვოკატმა ა. ბ.-მ განაცხადა, რომ მას თავდაპირველად დაუკავშირდა მომჩივანის მამა - გ. ჩ. რომელსაც სურდა, რომ იგი ყოფილიყო მისი შვილის ინტერესების დამცველი.

2.9 ადვოკატის განცხადებით, იგი და მეორე ბრალდებულის ადვოკატი ცდილობდნენ საპროცესო შეთანხმების გაფორმებას, თუმცა, პროკურატურის დამოკიდებულება კ. ჩ. და მეორე

ბრალდებულის მიმართ იყო მკვეთრად უარყოფითი, რადგან ისინი ფაქტზე იყვნენ დაკავებული და, ამავდროულად, მათ ბრალი ედებოდათ დანაშაულის არაერთ ფაქტზე. ადვოკატ-კლიენტის შეთანხმების მიხედვით, თუ საპროცესო გარიგება არ გაფორმდებოდა, განაჩენის გასაჩივრება სააპელაციო სასამართლოში არ ღირდა. ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა საქმის მასალებიდან გამომდინარე. საკითხი ჰონორარის შესახებ არ არსებობდა - ადვოკატმა 100 (ასი) ლარი დაუბრუნა კიდეც კ. ჩ.-ს ოჯახს, რადგან მათ ძალიან უჭირდათ.

2.10 ადვოკატის განმარტებით, იგი დამატებით არ მისულა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და აღარ დაუზუსტებია გასაჩივრების საკითხი. გასაჩვრების სურვილის შესახებ არც კ. ჩ.-ს და არც მისი ოჯახის წევრებს უცნობებიათ მისთვის, თუმცა, ადვოკატი კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ, დამატებით, დაზუსტების მიზნით, იგი არ გასაუბრებია კლიენტს.

2.11 ადვოკატის განცხადებით, იგი, სასამართლოს პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების გამოტანიდან ერთი კვირის შემდეგ ესაუბრა გ. ჩ.-ს, რა დროსაც გ. ჩ.-მ მას ჰკითხა, არსებობდა თუ არა საპროცესო შეთანხმების გაფორმების შანსი სასამართლო წარმოების შემდეგ ეტაპებზე. აღნიშნულის შესახებ შედგა შეხვედრა საქმის პროკურორთან ადვოკატისა და გ. ჩ.-ს მონაწილეობით. პროკურორმა უარი განაცხადა.

2.12 ადვოკატის განმარტებით, მას შემდეგ რაც განაჩენი გამოცხადდა, ჰქონდა რამდენიმე წუთი კ. ჩ. სასაუბროდ და ჰკითხა გასაჩივრების სურვილის შესახებ, რაზეც მომჩივანმა განუმარტა, რომ არ ღირდა გასაჩივრება. აღნიშნულს ესწრებოდა მეორე ბრალდებულის ადვოკატი, ნ. ტ. რომელმაც მოისმინა საუბარი. ნ. ტ.-მ მისი კლიენტის საქმე გაასაჩივრა, თუმცა, შედეგი უცვლელი დარჩა.

2.13 ადვოკატის განცხადებით, ვინაიდან მან იცოდა კ. ჩ.-ს პოზიცია გასაჩივრების თაობაზე, დამატებით აღარ გადაამოწმა და არ შეხვდა გასაჩივრების ვადის გასვლამდე კლიენტს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, თუმცა, ა. ბ. ვარაუდობს, რომ მომჩივანის პოზიცია უნდა დაეზუსტებინა და მის უმოქმედობას არქმევს შეცდომას. გასაჩივრება არ უთხოვია არც გ. ჩ.-ს.

3. მოწმე გ. ჩ.-ს პოზიცია:

3.1 მოწმე გ. ჩ.-მ, მომჩივან კ. ჩ.-ს მამამ, ეთიკის კომისიაში ზეპირი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2018 წლის 19 აპრილს. მოწმის განცხადებით, პირველად სწორედ იგი დაუკავშირდა ადვოკატ ა. ბ.-ს და სთხოვა იურიდიული დახმარება მისი შვილის საქმესთან დაკავშირებით.

3.2 მოწმის განცხადებით, ა. ბ.-მ ვერ შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობები, ხოლო საქმის მეორე ბრალდებულის ადვოკატი, ნ. ტ. ყველა ღონეს ხმარობდა კლიენტის ინტერესების დასაცავად. ამიტომ, მას აქვს პრეტენზია ადვოკატის მიმართ.

3.3 მოწმის განმარტებით, მას ადვოკატმა გასაჩივრების შესახებ განუცხადა, რომ იქნებოდა „უაზრო“ და სასჯელი დარჩებოდა უცვლელი. აქედან გამომდინარე, გ. ჩ.-მ განუცხადა ადვოკატს, რომ არ სურდა გასაჩივრება. ეს იყო მისი პირადი პოზიცია, რომელიც არ იყო შეთანხმებული კ. ჩ. რაც შეეხება პროკურორთან შეხვედრას საპროცესო შეთანხმების შესახებ, აღნიშნული არ ყოფილა. ასევე, მოწმისათვის ადვოკატს არ მიუწოდებია ინფორმაცია პროკურორის პოზიციაზე საპროცესო შეთანხმებასთან მიმართებით.

4. მოწმე ნ. ტ.-ს პოზიცია:

4.1 მოწმე ნ. ტ.-მ ეთიკის კომისიაში ზეპირი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2018 წლის 19 აპრილს. მოწმის განცხადებით, იგი იცნობს საქმის მხარეებს და იცის, რომ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა კ. ჩ.-მ ადვოკატ ა. ბ.-ს წინააღმდეგ, არაკვალიფიციურ მომსახურებასთან მიმართებით.

4.2 მოწმის განმარტებით, იგი ადასტურებს, რომ განაჩენის გამოცხადებისას, მაშინვე, ადვოკატმა ა. ბ.-მ ჰკითხა კ. ჩ.-ს, სურდა თუ არა მას ამ განაჩენის გასაჩივრება, რაზეც მომჩივანმა განაცხადა, რომ არ სურდა და არ გაასაჩივრებდა. ნ. ტ.-მ აღნიშნული საუბარი მოისმინა, რადგან იგი წარმოადგენდა მეორე ბრალდებულის ინტერესებს და ისინი ერთად იმყოფებოდნენ სხდომის დარბაზში. ასევე, გ. ჩ.-მ პირად საუბარში განუცხადა მოწმეს, რომ იგი არ გაასაჩივრებდა გადაწყვეტილებას, რადგან ამას აზრი არ ჰქონდა და არც შესაბამისი თანხა გააჩნდა ოჯახს.

4.3 მოწმის განცხადებით, განაჩენის გასაჩივრებაზე უარს აცხადებდა მისი კლიენტიც, თუმცა, გარკვეული ხნის შემდეგ მასთან მივიდა ნ. ტ.-ს კლიენტის მამა, რომელმაც განაცხადა, რომ მოახერხა ფულადი თანხის მობილიზება და შესაძლებელი იყო საპროცესო შეთანხმების გაფორმება. სწორედ ამიტომ, ნ. ტ.-მ გაასაჩივრა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი.

4.4 მოწმის განმარტებით, პროკურორმა უარი განაცხადა საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე მის კლიენტთან და, ასევე, როგორც ნ. ტ. ცნობილი, კ. ჩ.

5. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

5.1. 2016 წლის 27 ივლისს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ა. ბ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

5.2. საპროცესო კოლეგიის მოსაზრებით, თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა ა. ბ.-მ საპროცესო ვადის გასვლამდე არ წარადგინა სააპელაციო საჩივარი და არ დაინტერესდა კლიენტის აზრით განაჩენის სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების შესახებ, შესაძლოა დარღვეული ყოფილიყო „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილები.

II სამოტივაციო ნაწილი:

6. საქმის ფატობრივი გარემოებები:

6.1. განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებაა:

ადვოკატმა ა. ბ.-მ სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადის გასვლამდე არ დააზუსტა კ. ჩ.-ს პოზიცია გასაჩივრების სურვილთან მიმართებით და, აღნიშნულთან დაკავშირებით არ მოიპოვა კლიენტის წერილობითი თანხმობა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

ადვოკატ ა. ბ.-ს ახსნა-განმარტება

6.2. განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ საქმეში შემდეგი სადავო გარემოებებია:

6.2.1 მომჩივან კ. ჩ.-ს განაჩენის გამოცხადებისას, სურდა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გასაჩივრება სააპელაციო წესით.

განხილვის კოლეგიას ეს გარემოება მიაჩნია სადავოდ, რადგან მხარეებს განსხვავებული პოზიცია გააჩნიათ ამ საკითხთან მიმართებით.

ა) საჩივრის ავტორის განმარტებით, მას სურდა განაჩენის გასაჩივრება და ადვოკატს მისი მშობლებიც უცხადებდნენ აღნიშნულს.

ბ) ადვოკატის განცხადებით, იგი ესაუბრა კ. ჩ.-ს სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანის შემდეგ, რა დროსაც მან აღნიშნა, რომ განაჩენის გასაჩივრება არ სურდა. დამატებით, კ. ჩ.-ს ოჯახიდან მას არავინ დაკავშირებია გასაჩივრების შესახებ.

გ) განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატს ჰქონდა ინფორმაცია კ. ჩ.-ს პირველად პოზიციასთან დაკავშირებით - არ გასაჩივრებულიყო პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი. ეს პოზიცია ჰქონდა მომჩივანის მამასაც. აღნიშნულთან მიმართებით, საქმეში წარმოდგენილია მოწმე ნ. ტ.-ს ახსნა-განმარტება, სადაც იგი აფიქსირებს, რომ განაჩენის გამოცხადებისას, მაშინვე, ადვოკატმა ა. ბ.-მ ჰკითხა კ. ჩ.-ს, სურდა თუ არა მას ამ განაჩენის გასაჩივრება, რაზეც მომჩივანმა განაცხადა, რომ არ სურდა და არ გაასაჩივრებდა. ასევე, გ. ჩ.-მ პირად საუბარში განუცხადა მოწმეს, რომ იგი არ გაასაჩივრებდა გადაწყვეტილებას, რადგან ამას აზრი არ ჰქონდა და არც შესაბამისი თანხა გააჩნდა ოჯახს. ასევე, კ. ჩ. საჩივარში აცხადებს, რომ ადვოკატი მის მშობლებს შეჰპირდა განაჩენის გასაჩივრებას, ხოლო თავად გ. ჩ. აცხადებს, რომ ადვოკატთან საუბრის შემდეგ მან უარი განაცხადა გასაჩივრებაზე, რადგან ა. ბ.-ს თქმით, გასაჩივრება „უაზრო“ იქნებოდა. შესაბასისად, კოლეგია, ამ შემთხვევაში, ეთანხმება ადვოკატ ა. ბ.-ს პოზიციას.

6.2.2 ადვოკატი ა. ბ. შეუთანხმდა კ. ჩ.-ს და მის ოჯახს განაჩენის გასაჩივრების თაობაზე.

განხილვის კოლეგიას ეს გარემოება მიაჩნია სადავოდ, რადგან მხარეებს განსხვავებული პოზიცია გააჩნიათ ამ საკითხთან მიმართებით.

ა) საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი მის მშობლებს უცხადებდა, რომ განაჩენს გაასაჩივრებდა სააპელაციო წესით.

ბ) ადვოკატის განცხადებით, იგი ესაუბრა კლიენტსაც და მის მამას გასაჩივრების შესაძლებლობის თაობაზე, თუმცა, ვინაიდან მათ გასაჩივრებაზე პირველადი უარი განაცხადეს, ადვოკატმა შესაბამისად იმოქმედა.

გ) განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატს არ განუცხადებია კ. ჩ.-ს ან მისი ოჯახის წევრებისათვის, რომ განაჩენს გაასაჩივრებდა. საქმეში წარმოდგენილია მოწმეთა - გ. ჩ.-ს და ნ. ტ.-ს პოზიცია. გ. ჩ. აცხადებს, რომ ადვოკატი ესაუბრა მას გასაჩივრების პერსპექტივის არარსებობის შესახებ, რის შემდეგაც მიიღო გადაწყვეტილება გასაჩივრებაზე უარის თქმის თაობაზე. მოწმე ნ. ტ. მის ახსნა-განმარტებაში მიუთითებს, რომ გასაჩივრებაზე უარი განაცხადა თავად კ. ჩ.-მ და გ. ჩ. იმყოფებოდა ამ პოზიციაზე. აქედან გამომდინარე, კოლეგია ეთანხმება ადვოკატ ა. ბ.-ს პოზიციას.

7. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ა. ბ.-ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

8. სამართლებრივი შეფასება:

8.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ა. ბ.-ს მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:

8.1.1 ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან."

8.1.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი: „ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ."

8.2 კლიენტის მიერ ადვოკატისთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების მინიჭებისას, ადვოკატი იღებს ვალდებულებას მისი სახელით და მის ნაცვლად განახორციელოს ყველა ის საპროცესო მოქმედება, რაც საქმის წარმოების პროცესში იქნება აუცილებელი, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული იმ საპროცესო მოქმედებებისა, რომელიც უშუალოდ მარწმუნებელმა უნდა განახორციელოს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მსჯავრდებული კლიენტებისათვის, რომლებსაც ფიზიკურად არ შეუძლიათ საპროცესო ქმედებების განხორციელება და ანდობენ რა საკუთარი საქმეების სასამართლოში წარმოებას, ნდობის მაღალი ხარისხი აკავშირებთ ადვოკატთან.

8.3 ეთიკის კომისია 2011 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით დისციპლინურ საქმეზე №027/11 აქცენტს აკეთებს კლიენტისათვის ინფორმაციის დროული მიწოდებაზე ისეთ ვითარებაში, როდესაც სამართლებრივი მოქმედების განხორციელება შეზღუდულია კონკრეტული ვადით და არსებობს იმის საფრთხე, რომ ამ ვადის გასვლის შემდეგ კლიენტი ვეღარ მოახდენს საკუთარი უფლების რეალიზაციას.

8.4 2012 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე №092/11, ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ: ,,ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება უკავშირდება გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების გადანაწილებას, კლიენტი ჩართულია საქმის მიმდინარეობის თაობაზე და აქვს შესაძლებლობა, გონივრულად მართოს საკუთარი ქმედებები. ადვოკატი ვალდებულია განუმარტოს კლიენტს საკითხები ზედმიწევნით, რაც კლიენტს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები".

8.5 ადვოკატი ა. ბ. საკუთარ ახსნა-განმარტებაში მიუთითებს, რომ მან მიიღო პასუხი კლიენტისაგან გასაჩივრებაზე უარის თაობაზე განაჩენის გამოცხადების შემდეგ, თუმცა, გასაჩივრების ვადის გასვლამდე, დამატებით არ გაესაუბრა კ. ჩ.-ს ამ საკითხთან მიმართებით და, ასევე, არ კლიენტის პოზიცია არ დააფიქსირა წერილობით. აღნიშნულს ადვოკატი უწოდებს დაშვებულ შეცდომას.

8.6 განხილვის კოლეგია ეთანხმება საპროცესო კოლეგიის მითითებას და თვლის, რომ ადვოკატის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებით არ დასტურდება მხარეთა შორის ხელშეკრულების შეწყვეტის ფაქტი. ასევე, კლიენტი უთითებს, რომ კვლავ გააჩნდა ადვოკატის მიმართ ნდობა. კოლეგია განმარტავს, რომ საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დადება შესაძლებელია როგორც წერილობით, ასევე ზეპირი ფორმით, თუმცა ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტის განსაზღვრა ზეპირად დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში განსაკუთრებით რთულია. რეკომენდირებულია, რომ საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების ზეპირად დადების შემთხვევაში, ადვოკატმა, როგორც სამართლებრივი განათლებისა და შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე პირმა, ურთიერთობის შეწყვეტისას, სულ მცირე, უზრუნველყოს კლიენტის საბოლოო პოზიციის წერილობითი ასახვა ან მიღება-ჩაბარების აქტის შედგენა წერილობითი ფორმით, რაც შემდგომში დაადასტურებს მხარეთა შორის ხელშეკრულების არსებობისა და შეწყვეტის ფაქტს.

8.7 2012 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე № ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ „ადვოკატის მიერ კლიენტის საქმეზე საადვოკატო საქმიანობის შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტა უნდა მოხდეს იმ პირობებსა და გარემოებებში, როდესაც ადვოკატმა აღნიშნულის თაობაზე ნათლად განუმარტა კლიენტს და შეწყვიტა მასთან ყველა სახის სამართლებრივი ურთიერთობა.“

8.8 განხილვის კოლეგია ითვალისწინებს საქმეში წარმოდგენილ მოწმეთა ჩვენებებს, რომლებიც, კოლეგიის მოსაზრებით, მიუთითებენ, რომ ადვოკატის მიერ არ მომხდარა კ. ჩ.-ს ოჯახისათვის პირობის მიცემა განაჩენის გასაჩივრების შესახებ. ასევე, მოწმე ნ. ტ. მიუთითებს, რომ თავად კ. ჩ. განაჩენის გამოცხადების შემდეგ აცხადებდა, რომ მას არ გაასაჩივრებდა. დამატებით, მხედველობაშია მისაღები, რომ მიუხედავად ნ. ტ.-ს მიერ მეორე ბრალდებულის განაჩენის გასაჩივრებისა, პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი უცვლელი დარჩა. შესაბამისად, ადვოკატის მიერ არ იქნება დარღვეული კვალიფიციური წარმომადგენლობის ვალდებულება.

8.9 თუმცა, როგორც აღინიშნა, ადვოკატმა არ დააზუსტა მომჩივანის ნება დამატებით, გასაჩივრების ვადის გასვლამდე, შესაბამისად, არ შექმნა მტკიცებულება პრევენციისათვის. ამიტომ. განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ ა. ბ.-ს საბოლოოდ უნდა დაეზუსტებინა კ. ჩ.-ს პოზიცია განაჩენის გასაჩივრებასთან მიმართებით და წერილობით ჩამოეყალიბებინა ეს, რათა შემდგომ თავიდან აერიდებინა გართულება.

8.10 განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა პასუხისმგებლობის სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპით, მხედველობაში მიიღო ეთიკის კომისიის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის პრაქტიკა და განმარტებები პასუხისმგებლობის პროპორციულობასთან დაკავშირებით, რომელიც სასამართლომ გააკეთა სასამართლოს მომართვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების განხილვისას და გადაცდომასა და პასუხისმგებლობის ფორმას შორის ურთიერთშესაბამისად მიიჩნია ადვოკატ ა. ბ.-ს მიმართ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

8.11 ‚ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 38-ე მუხლის თანახმად, ადვოკატისთვის კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვის შემთხვევაში, იგი უნდა შეიცავდეს რჩევებსა და რეკომენდაციებს იმ ზომების შესახებ,

რომელიც ადვოკატმა უნდა მიიღოს პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრისა და დისციპლინური გადაცდომის მომავალში ჩადენის თავიდან აცილების მიზნით. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და იგი ადვოკატს ჩაბადება პირადად.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით, 34-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19, მე-20, მე-19, მე-20, 33–ე მუხლით, 35–ე მუხლით, 38–ე მუხლით, მე-40 მუხლის მეორე პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №050/16 ადვოკატ ა. ბ.-ს (სიითი №) მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და ეგზავნება მხოლოდ ადვოკატს.
4. დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილება არ საჩივრდება საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ხათუნა ჩხაიძე/

კოლეგიის წევრი: /თეიმურაზ თოდრია/